

1974 წ. № 12 (5042) 17 იანვარი, სათაბათი. შანი 3 კაპ.

საპარტვილოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გაგოლის 1984 წლის 18 აპრილიდან



პირ-რესპუბლიკური გერა-საპარტიო



საპარტვილოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

გაიმართა საქართველოს სოფლის II სპორტული თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელმაც იმსჯელა ამ დღის შეჯიბრებისთვის მზადების საკითხებზე. სხდომაში მონაწილე ავტორების "კოლმეურნის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარე შ. მიქელაძის, აჭარის "კოლმეურნის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარე თ. ბომბორდის, ზუგდიდის, კასპის, სამტრედიის "კოლმეურნის" რაიონ-კომიტეტის თავმჯდომარეების — შ. ხახვლიას, გ. თათარაშვილის, გ. ვაშაქიძის ინფორმაციები. გარდა ამისა, სპორტული თამაშების დებულბაში შეტანილ იქნა ცვლილებები, დაბეჭიდა საორგანიზაციო კომიტეტის სხდომების ჩატარების გეგმა და საქართველოს სოფლის II სპორტული თამაშების ფინალურ შეჯიბრებათა კალენდარი შეგვირებათა ჩატარების ადგილები და ვადები ასეთია:

შაში — კასპი, 23—31 მარტი; გარდაკი — სამტრედია, 12—21 აპრილი; ცხენოსნობა — ოჩამჩირე, 15—20 მაისი; ტყეის სროლა — სოხუმი, 22—26 მაისი; საგზატრავილო ველობოლა — ზუგდიდი, 10—15 ივნისი; საბაზო — სამტრედია, 20—23 ივნისი; ხელბურთი — სოხუმი, 30 ივნისიდან 6 ივლისამდე; ძალოსნობა — სამტრედია, 4—7 ივლისი; თავისუფალი ჭიდაობა — ქობულეთი, 4—7 ივლისი; მძლეობა — გორი, 11—14 ივლისი; კლასიკური ჭიდაობა — სოხუმი, 11—14 ივლისი; ფრენბურთი — სოხუმი, 12—22 ივლისი. საქართველოს სოფლის II სპორტული თამაშების დამთავრების შემდეგ "კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ხაერები გუნდები მონაწილეობას მიიღებენ სოფლის II საქართველოს სპორტული თამაშებში, რომლის ძირითადი შეჯიბრებები ივლისში სარატოვში გაიმართება.

„ელვა“ ტიტულს ინარჩუნებს

18 დეკემბერს დამთავრდა თბილისის ჩემპიონატი ფეხბურთში. 10 თვის მანძილზე იბრძოლა მწვეანე მინდორებზე ქალაქის პირველობისთვის ფაბრიკა-ქარხნების, უმაღლესი სასწავლებლებისა და საწარმო-დაწესებულებების 13 გუნდი.

უძლიერების სახელი კვლავ შეინარჩუნა მარშანდელმა ჩემპიონმა, სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის სპორტკლუბი „ელვის“ გუნდმა (მწვრთნელი ი. კანდელაკი, ფიზკულტურის მეთოდისტი უ. მისაშვილი). ეს მიღწევა იმით აიხსნება, რომ ქარხანაში გარდა დაწესებულების ფიზკულტურისა და სპორტის სამსახურის, დირექციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები ინტერესს იჩენენ საწარმოს სპორტული ცხოვრებისადმი. II ადგილზე გავიდა № 3 მსუბუქი ტაქსების დაწესებულების კოლქტივი — „თოლია“ (მწვრთნელი რ. ჩალაბიანი), ხოლო III — თუქჩაშხის მსუბუქი ტაქსების გუნდი (მწვრთნელი უ. უმაშვილი). ამ კოლქტივებშიც კარგად არის დაყვებული სპორტული სექციების მუშაობა, ფეხბურთელების სათანადოდ უწყობენ ხელს სელმმდგენელები.

ჩემპიონატი საინტერესოდ ჩატარდა. გუნდები I-II ადგილებზე გასული გუნდები გადადიოდნენ უფრო მაღალ დონეზე, ხოლო ბოლო ორ ადგილზე დარჩენილი, პირიქით, დაბლა ინაცვლებდნენ. ტურნირი იმითაც იყო საინტერესო, რომ მესამე ადგილის ფინალურ შეჯიბრებას წინ უსწრებდა რაიონული პირველობები და მათში გუნდების მასობრივი მონაწილეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქალაქო შეჯიბრებებს კარგად გაართვა თავი მსაჯთა კოლეჯი, ისეთმა აქტიურმა არბიტრებმა, როგორც არიან ნ. აბიურავი, გ. ჩიბრაური, გ. გაგრილოვი, თ. სალიანი, ბ. ცხაკაია, ი. კანდელაკი, ვ. ვაშაძე, მ. მიმინოვილი, რ. ფანჯარაშვილი, ჯ. მგელაძე, თ. ლაცაბიძე, დ. კვიციანი, ვ. კლიმენკო, ნ. კლავკოვი, გ. სეფიაშვილი, რ. ვერულაშვილი და სხვები. დონისძიებათა მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარებაში დამსახურება მიუძღვით მკუდ-კამელონის კომპინატისა და „ჯანმრთელობის“ სტადიონების დირექტორებს (რ. მამაჯანი, ვ. ასრანი).

მეორე ადგილზე უძლიერების სახელი მითითა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა (მწვრთნელი გ. ქაჯაია), ხოლო II ადგილზე გავიდა № 1 ავტომექანიკების ქარხნის გუნდი (მწვრთნელი თ. სუსაშვილი), რომელმაც ბურთების უკეთესი სფაზით (დასასრული მე-3 გვ.).

სარსლიანი ამატებს მსოფლიო ჩემპიონს

ერთდღიანი შეჯიბრების შემდეგ მოსკოვსა და ალმა-ათაში გახალსდა ფრენბურთულ ვეჯთა 36-ე საკავშირო ჩემპიონატი. შედგა IV ტურის მატჩები. მოსკოვში შეჯიბრების ლიდერება — ადგილობრივმა არბიტრებმა დაამარცხეს ბაუშანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის წარმომადგენლები — 3:0. ეს მათი ზედიზედ მეოთხე გამარჯვებაა. როსტოვის არბიტრებმა დააბრუნეს ბრძოლაში აჭიბუნებულ პროპეტროვსკის „ავტომობილისტს“ — 3:2. ვერობის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებულთა გორიზონოლოგის „ზეზდა“ მოუგო მოსკოვის „დინამოს“ — 3:1.

ალმა-ათაში ადგილობრივი მ. „დინამოს“ სოლი კიევის „ლოკომოტივის“ — 3:0. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:

მოსკოვი, 16 იანვარი. გუშინ მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“ სპორტულ დარბაზში ერთმანეთს შეხვედნენ მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპის ლიგის პირველობის ლიდერი — შვეიცის ნაკრები და სსრ კავშირის ეროვნული გუნდი. დარბაზში შეჯიბრების ნახვის უველა მსურველი ვერ დაიტია. უკვე პირველხვე შეხვედრაში სტუმრებმა მარცხი იყენეს. ბათუმელმა ს. ხარხიანი დაამარცხა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ს. ბენგტსონი — 2:1, 18:21, 21:18. ვაუთა წყვილებში მსოფლიო ჩემპიონებმა ბენგტსონმა და ჩ. იუპანსონმა ვერაფერი გააწყვეს საბჭოთა სპორტსმენებთან — ხარხიანთან და ს. გომოჯოვთან. სტუმრები აქაც დამარცხდნენ — 16:21, 21:16, 15:21. მატჩი მოიგო საბჭოთა ნაკრებმა — 5:2.

ახლა შედეგები ლიდერობას იყოფენ უნგრელებთან. ორივე ნაკრებს 4-4 გამარჯვება აქვს (5 შეხვედრაში). საბჭოთა გუნდს, რომელსაც ახლა მ მოგება აქვს (4-დან), საერთო გამარჯვების შანი გაუჩნდა. ამისთვის საბჭოთა სპორტსმენებმა დიდი ანგარიშით, უნდა დაამარცხონ უგრებისა და უგრეთის წარმომადგენლები.


ლიდერება იპარკვს

რთელი ქალებიც. ლენინგრადსა და გორიშილოვგრადში სტარტზე გამოვიდა 12 გუნდი. ლენინგრადში ასპარეზობენ ადგილობრივი „სპარტაკისა“ და „ბურევესტიის“, ოდესის სამე-

დიცინო ინსტიტუტის, დონეცის „ავტომობილისტის“, ბაქოს „ნეფთისა“ და ცხაკ-ს ფრენბურთელები. გორიშილოვგრადში გამოვიდა მოსკოვის „დინამო“ და „ლოკომოტივი“, კიევის „ბურევესტიის“, ტაშკენტის „ავტომობილისტი“, გორიშილოვგრადის „ისკრა“ და სევერდოვსკის „ურალიკა“.

პირველმა შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცა: ლენინგრადი, „სპარტაკი“ — „ავტომობილისტი“ 3:0, ცხაკ — „ნეფთი“ 3:1, სამედიცინო ინსტიტუტი — „ბურევესტიის“ 3:0. გორიშილოვგრადი, „ლოკომოტივი“ — „ბურევესტიის“ 3:2, „ავტომობილისტი“ — „ისკრა“ 1:3, „დინამო“ — „ურალიკა“ 3:0.

სურათზე: მოსკოვის „დინამოსა“ და როსტოვის არმიელთა შეხვედრის მომენტი.



პირველი სტარტები

მაღალმთიან სოფელ ნაკურალეში გაიმართა ცაგერის რაიონის პირველობა საბილიბურთ სპორტში. შეჯიბრება მიზნად ისახავდა შამირის რესპუბლიკური სპორტკლავისთვის რაიონის ნაკრები გუნდის კანდიდატთა შერჩევას.

20 კმ-ზე ვაუთა რბოლაში ჩემპიონი გახდა ა. ჩიქოვანი (ცხუკურის სკოლა). II-III ადგილებზე მისი თანაგუნდლები ვ. ბურაღლიანი და გ. ყურაშვილი გავიდნენ. ქალთა შორის 10 კილომეტრზე რბოლაში თავი ისახელეს ასევე ცხუკურის სკოლის სტარტებზე: გ. სვანიძე, მ. ყურაშვილი და მ. სვანიძე.

სწრაფდამგვებში ვაუთა შორის ყველას აჯობა ვ. ყურაშვილი. II ადგილი დაიკავა ა. ხეყურაშვილი (ორივე — ღვინის სკოლა), III — ა. ყურაშვილი (ნაკურალეშის კოლმეურნობა). ქალთა შეჯიბრებაში სამივე საპირის ადგილი ღვინის სკოლა — დ. გიორგობიანი, მ. გიორგობიანი და ნ. ყურაშვილი დაიკავეს.

3x10 კმ-ზე ვაუთა ესტაფეტაში იმარჯვებ ცხუკურის სკოლის სპორტსმენებმა. II ადგილი ხვდა ნაკურალეშის კოლმეურნობის გუნდს, III — ღვინის სკოლა კოლმეურნობის გუნდს. ქალთა ესტაფეტაში 3x5 კმ-ზე ადგილები ასე განაწილდა: ცხუკურის სკოლა, ღვინის სკოლა, ნაკურალეშის კოლმეურნობა.

სლალომის ვაუთა შორის I ადგილი დაიკავა რ. ირემიძე (ღვინის), II — გ. გიორგობიანი (ლალაში), III — თ. ცხაკიანი (ცხუკური). საერთო გუნდური I ადგილი მითითა ღვინის საშუალო სკოლის გუნდმა, II ადგილი დაიკავა ცხუკურის საშუალო სკოლის, III — ნაკურალეშის კოლმეურნობის წარმომადგენლებმა.

გ. სვანიძე, ცაგერის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

# მთავარი საზრუნავია მასობრიობა

რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოების წარმატებით საქმიანობა ხაზს უსვამს, საქალაქო და რაიონული საბჭოების ნაყოფიერ მუშაობაზე და მთავარია ამიტომაც ურუნავს „განთავის“ ცენტრალური საბჭო, რომ საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები ფიზიკურად და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულებებს დროულად და ხარისხიანად ასრულებდნენ. ცენტრალური საბჭო პრეზიდიუმის სხდომებზე ხშირად მსჯელობს აღნიშნულ საბჭოების საქმიანობაზე. ამას წინათ თბილისში გაიმართა „განთავის“ ცენტრალური საბჭოს მორიგი პლენუმი, რომელმაც მოისმინა ამ საზოგადოების აფხაზეთის საოლქო და ფოთის საქალაქო საბჭოების დროულად და ხარისხიანად ასრულებული მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

ორივე საკითხზე თანამოსწეველით გამოვიდა „განთავის“ ცენტრალური საბჭოს ინსტრუქტორი მ. ასანაძე.

სანეკლამო ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის ფიზიკურის კოლექტივებში, საქალაქო და რაიონული საბჭოებში ტარდება მშრომელთა შორის ფიზიკურისა და სპორტის შემდგომი დანერგვა-განვითარებისთვის, თან-როგისათა და მშდ კომპლექსის ნიშნისათა როგების ზრდისთვის.

აღინიშნა, რომ მშდ კომპლექსის პროგრამით ჩატარებულმა „განთავის“

ლობის სპარტაკიადში, რომელშიც ფიზიკურის კოლექტივების გუნდები მონაწილეობდნენ, მშრომელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ამჟამად კომპლექსის ნორმატივებს 6,750 კაცი აბარებს. კარგა ხანია ტრადიციად და-მკვიდრდა საოლქო საბჭოს ქალთა სპარტაკიადების გამართვა. 1973 წელს სოხუმის კომპლექსისა და ფიზიკურის კოლექტივის საქალაქო კომიტეტების თაოსნობით მოეწყო საწარმოთა ფიზიკურის კოლექტივების ტურნირი — „ვინ აჯობებს?“. ყველა გუნდში აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ საწარმოს დირექციის წარმომადგენლები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. ამ ტურნირში ყველას ქარხანა „სოხუმელსაწყოს“ და № 6 სამშენებლო ტრესტის გავრთიანებულმა კოლექტივებმა აჯობეს.

ეს და სხვა ფიზიკურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები ხელს უწყობს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას. მომსწერებელმა ამ საქმეში მოწინავეება დაასახელა „სოხუმელსაწყოს“, № 6 ტრესტი და № 11 საკავშირელო ფაბრიკა.

რიგ კოლექტივებში მასობრივ-ფიზიკურულ საქმიანობის გაუმჯობესებაში სპორტის წინსვლასაც ხელი შეუწყო. მაგალითად, ბოლო წლებში მუშაობა საგრძობლად გარდაქმნა ფორსისობის სექციამ, რომელმაც მარტო 1973 წელს 7 სპორტის ოსტატობის კანდიდატი მოახზადა. კარგად მუშაობს ძალისხმობის სექციაც. ამ სექ-

## „განთავის“ ცენტრალური საბჭოს კლენაზე

ციის წევრებმა რ. ტარკილა და ო. კარაიანიდიმ საკავშირეო სარბიელსაც გამოიჩინეს თავი.

ი. სანეკლამო აღნიშნა, რომ აფხაზეთის „განთავის“ ორგანიზაციები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იყენებენ ამ კუთხისთვის დამახასიათებელ ხანგრძლივ ზაფხულს. მან ილაპარაკა აგრეთვე ფიზიკურის კოლექტივებსა და რაიონულ საბჭოებში ფიზიკურისა და სპორტის პრობლემების დაბალ დონეზე...

მოსწენებში უფრო ფართო ადგილი ნაკლავაზებათა მხილებას დაეთმო. ი. სანეკლამო თქვა, რომ ჯერ კიდევ ბევრი საწარმოს ხელმძღვანელები მსოფლიო საწარმოო გეგმების შესრულებისთვის იბრძვიან, მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელ მუშაობას კი არაფერი ყურადღებას არ აქცევენ. ფიზიკურულ-სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობა განსაკუთრებით დაბალ დონეზე დგას სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში (დირექტორი ლატარია), გასის აპარატურის ქარხანაში (ფაჩალია) და საქმთავრებერგოს სოხუმის ვლექტროსტელში (შალამბერიძე). არც ერთ ამ ორგანიზაციის 1973 წელს საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტრ არ ჰყოლია.

იქვეა, რომ აფხაზეთის „განთავის“ 82 ფიზიკურული კოლექტივიდან ინსტრუქტორ-მეთოდისტი მხოლოდ 12 (?! ) საწარმოს ჰყავს, სხვაგან კი ფიზიკურული მუშაობა მთლიანად საზოგადოებრივ საწყისებზე ტარდება და, ცხადია, შედეგებიც შედარებით ნაკლებია.

განსაკუთრებით ზომორჩენ ტყვარჩლოს ორგანიზაციები. ამ ქალაქში 7000-ზე მეტი მუშა-მოსამსახურეა, მაგრამ მშდ კომპლექსის ყველა ნორმატივი დღემდე ერთ კაცსაც არა აქვს ჩაბარებული. ქალაქში არც აუზია, არც წყალსაცავი.

ი. სანეკლამო აღნიშნა ისიც, რომ 1972 წელს საწარმოო ტანვარჯიშში მომეცადინეთა რიცხვმა საგრძობლად იკლო. მართალია, შემდეგ ეს ნაკლოვანება გაიშორდა, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრგან ფიზიკურის კოლექტივის საბჭოები საქმეს სათანადოდ ვერ უძღვებიან. მშდ კომპლექსის კომისიები არაფერს აკეთებენ. შექმნილი არ არის ამ კომპლექსის სასწავლო და განმრთელობის ჯგუფები, იშვიათად ვეწობა ჯანმრთელობის შიდასაკოლექტივო სპარტაკიადები და ქალაქგარეთ ლაშქრობები, განსაკუთრებით უყურადღებოდ იყიდებიან ხანდაზმულ მუშა-მოსამსახურებთან, თანამშრომელთა ოჯახის წევრებთან გამაჯანსაღებელ მუშაობას, ნაკლები ყურადღება ექცევა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებულთა სამედიცინო შემოწმებას. ძალზე იშვიათია მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის შესახებ საერთო კრებებზე და ადგილკომების სხდომებზე მსჯელობა.

ი. სანეკლამო აღნიშნა, რომ განთავის კომისიის უშლით ხელს სპორტული ბაზების სიმცირეც. მთელს აფხაზეთში მათ ერთი დახურული სპორტული ბაზაც კი არ აქვთ, ხოლო ფიზიკურის კოლექტივების მართლები ტიპის მოედნები მხოლოდ ბევრ აკმაყოფილებს.

თანამოსწეველებმა ო. ასობაძემ აფხაზეთის „განთავის“ საბჭოს მუშაობაზე ლაპარაკის დროს აღნიშნა, რომ ბევრ კოლექტივში მუშაობა მოუგვარებელია: არა აქვთ ღონისძიებათა აღრიცხვის ურუნალები, ჯანმრთელობის ჯგუფების არსებობა აკლებულა. ბევრ ორგანიზაციაში ხელმძღვანელებს არ ხშირად კარგად მშდ კომპლექსის ნორმატივების მიმღები კომისიების როლი და ამ საქმეს პირდაპირ ფიზიკურის მეთოდისტს ავალებენ. მაგალითად, გასის აპარატურის ქარხანაში მეთოდისტობა საზოგადოებრივ საწყისებზე მიახდევს აფხაზეთის მდგომარეობა ნაკრების წევრს არალოვას, რომელიც საამქროში ხუთ ჩარხს

ემსახურება. რა გასაკვირია, რომ ამ კოლექტივში მშდ კომპლექსის ნიშნისათა მომზადების გეგმა არ შესრულდა.

ო. ასობაძემ ისიც აღნიშნა, რომ სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში, სადაც ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურეა, გამაჯანსაღებელი მუშაობა ჩამოვიდა. პარტიკანონაციის მდივანმა ნ. გობეჩიამ ისიც არ იცოდა, რომ მშდ კომპლექსის დანერგვის საქმე პარტიულ კომიტეტსაც ეჭება. პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტს (თავმჯდომარე დ. მთელია) მშრომელთა შორის ფიზიკურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საკითხზე არასოდეს უმსჯელია, ფიზიკურულად და სასწავლო-სპორტული მუშაობისთვის გამოყოფილი სახსრები სხვა დანიშნულებისთვის დაუსხარჯავს.

რ. სარუმოვამ აღნიშნა, რომ ფოთში „განთავის“ რვა კოლექტივში 2000-ზე მეტი ფიზიკურული შედის, მეთოდისტები კი მხოლოდ სამ ორგანიზაციას ჰყავს. მუშაობის დონე ძირითადად დამაკმაყოფილებელია. ფიზიკურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულებანი სრულდება. მომსწერებელმა თქვა, რომ მასობრივ-ფიზიკურულ საქმიანობის განაჯანსაღებელი მუშაობის მხრივ მისაბაძია ვლექტროგამაძლიერებლების ქარხნის კოლექტივი.

პილდრომეანისების ქარხანაში საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტის შტატი გააუქმეს და სანამ საქმეში მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი არ ჩაერთო, არ აღუდგინათ. 1974 წლიდან ამ საწარმოში მეთოდისტი ვყოფილბათ და ალბათ საქმეც ისევ წინ წავა.

მომსწერებელმა აღნიშნა, რომ ფოთის „განთავის“ რესპუბლიკის ნაკრების ინვესტირისა და ბაზის უქონლობის გამო ვერც ერთ ნიჩბსანს ვერ აძლევს, ვინაიდან განთავადლები სხვა საზოგადოებრთა სექციებში ვარჯიშობენ და შეჯიბრებებშიც მათი სახელით მონაწილეობენ.

ფოთში განთავადლებს არავითარი სპორტული ბაზა არა აქვთ, საცურაო აუზის უქონლობა საგრძობლად აფერხებს ტურისტების განვითარებას. უახლოესი მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება ძნელდება.

რ. სარუმოვამ თქვა, რომ „განთავის“ ორგანიზაციებში დამაკმაყოფილებელია გამაჯანსაღებელი მუშაობის დონე ბავშვთა შორის, მაგრამ საშუალო ასაკისა და ხანდაზმულ მშრომლებს უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

მოსალოდნელი იყო, რომ „განთავის“ ფოთის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე უფრო მეტს იტყოდა ფიზიკურის კოლექტივების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ხელშეწყობდა მიუხედავად კრიტიკას არ მოერიდებოდა, მაგრამ მან რატომღაც დუმული არჩია. სანეკლამო, მისი გამოხელა ო. ასობაძემ შეავსო. თანამოსწეველებმა აღნიშნა, რომ პილდრომეანისების ქარხანის მეთოდისტის შტატი აქვს, მაგრამ საწარმოს დირექტორი მ. მაღალაშვილი არ სურს ამ შტატის გამოყენება, ხოლო ფიზიკურული მეთოდისტის საბჭოს თავმჯდომარე, ქარხნის მთავარი ინჟინერი ვ. ტასოვი ფიზიკურისთვის არ აქვს ინტერესი. ამიტომაც, რომ ერთ დროს მოწინავე კოლექტივში ასე მუშაობა ჩამოვიდა.

№ 2 სამკერვალო ფაბრიკაში, რომელიც ბათუმის ფორმის ფილიალია, ფიზიკურის მეთოდისტად არასპეციალისტი მუშაობს. დირექცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მას არ ემხროებიან. ფაბრიკაში საერთოდ არ არის თვალსაჩინო ავსტიკაცია — პლასტიკები, სტენდები. მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის არცინ ურუნავს. ერთადერთი გამაჯანსაღებელი ღონისძიება, რომელიც აქ სისტემატურად ტარდება, საწარმოო ტანვარჯიშია.

პლენუმზე სიტყვებით გამოვიდნენ „განთავის“ ჭიათურის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე შ. ჩხეიძე, ენგურის მუშაობის ფიზიკურის ინსტრუქტორი მ. ბეძეძე, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე


შ. მარბიშივი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტულ „ფოლადის“ განვითარების თავმჯდომარის მოადგილე მ. პაპაშვილი, თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის ფიზიკურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი მ. ასანაძე, „განთავის“ ცენტრის სპეციალისტებულ სპორტული სკოლის დირექტორი მ. პასანაძე, მანქანათმშენებლობის პროფკავშირის რესპუბლიკური კომისიის ფიზიკურისა და სპორტის ბიუროს თავმჯდომარე შ. მარბიშივი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებრივ საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. კულიკოვი.

მათი სიტყვებიდან ჩანდა, რომ მასობრივ-ფიზიკურულ საქმიანობაში და გამაჯანსაღებელი მუშაობა ყველგან სათანადოდ დონეზე არ დგას. სამხრეთ ოსეთის ბევრი საწარმოს კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები მშდ კომპლექსით არ დაინტერესებულან. ბევრ კოლექტივში ნორმატივების ჩასაბარებლად საჭირო ბაზებიც არა აქვთ, ცხინვალში სამშენებლო სამმართველოს სპორტბაზაში ააგეს და... საწყობად გადააკციეს. ითქვა, რომ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში სპორტის თვალსაჩინო ავსტიკაციის ნაკლები ყურადღება აქცევა და სხვ.

პლენუმზე ცუდი მუშაობისთვის გააკრიტიკეს აფხაზეთის წყალში მსვლელები და თბილისის ტანვარჯიშის სპორტსკოლა, რომელიც სპეციალური დარბაზის მიღებამდე უკეთესად მუშაობდა. ითქვა, რომ თბილისის კირივის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის საცურაო აუზის რემონტი ძალიან გაჭირვრდა. გამოითქვა საყვედური პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს მისამართით, რომელიც შეჯიბრებებს ხშირად, თითქმის მიუდგომელ ადგილებში ნიშნავს.

პლენუმის მუშაობა შეჯავდა „განთავის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ პ. შიშორომიანი.


პლენუმმა მიიღო ღონისძიება. „განთავის“ აფხაზეთის საოლქო და ფოთის საქალაქო საბჭოს დავებულან მეტი კონტროლი და დასმარება გაუწიონ ფიზიკურის კოლექტივებს მასობრივ-ფიზიკურულ საქმიანობაში, გამაჯანსაღებელი მუშაობაში, მიადვილონ, რომ მათს საქმიანობას საფუძვლად დაედოს მშდ კომპლექსი; საწარმოო-დაწესებულებათა დირექციებთან, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ისინი მშდ კომპლექსის ნორმატივების ხარისხიანი ჩაბარებისთვის, იბრძვიონ, რომ 1975 წლისთვის აფხაზეთის საბჭოში საწარმოო ტანვარჯიში ჩააბას 10 ათასი, ხოლო ფოთის საბჭომ — 3 ათასი კაცი, რომ იმავე წლისთვის ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში იყოს სპორტული ბაზები, გამაჯანსაღებელი ჯგუფები.



საკდესის ფოტოკორიკა.

**განვლილი** კვირის მანძილზე ჩელაბინსკსა და მოსკოვში ორი დღი და საინტერესო შეჯიბრება გაიმართა: ჩელაბინსკში სსრ კავშირის თასებისთვის იბრძოდნენ ფიგურული ციგურაობის ოსტატები, ხოლო მოსკოვში ჩატარდა ჩოგბურთიელთა და ჩემპიონატის, რომელშიც საბჭოთა ქვეყნის თითქმის ყველა საუკეთესო ჩოგბურთელია იასპარჩეს.

სურათებზე სწორედ ამ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი არიან აღბეჭდილი. ზემო სურათზე თქვენ ხედავთ ფიგურული ციგურაობის მოსკოველ ოსტატებს — ი. როდინსასა და ა. ზაიცევს. ქვედა სურათზე აღბეჭდილია ასევე მოსკოველი ო. მოროზოვა, რომელმაც თავისი ქალაქისა და პირველობაში ყველას აჯობა.



## შეხვედრა მორინავე სპორტსმენებთან

სოხუმის № 58 პროფტექსასწავლების კლუბში მიეწყო შეხვედრა რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენებთან. სასწავლებელს ესტუმრნენ სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი თავისუფალ ჭილაბაში ე. მარშანია, საქართველოს ჩემპიონები: კ. ხუტაბა, ასევე სასწავლებლის ტურსადამთავრებელი გ. ხარბაია და მათი მწვრთნელი — სპორტის ოსტატი შ. კიკაბაძე.

შეხვედრა გახსნა სასწავლებლის დირექტორის მოადგილემ ა. მინჯიაბა, მან ილაპარაკა სასწავლებ-

ლის მოსწავლეთა სპორტულ წარმატებებზე, მათს მიზაველ გეგმებზე...

შემდეგ გამოვიდნენ სტუმრები. შ. კიკაბაძემ ილაპარაკა აფხაზეთის მოკლდავეთა მიღწევებზე, მოსკოვში შეჯიბრებებისთვის მათს მზადებაზე. დამსწრეთ დიდი ინტერესით მოუხსენია გ. მარშანიას, რომელმაც მათ გაუხსიარა ბულგარეთში, იაპონიასა და ირანში მიღებული შთაბეჭდილებები.

**გ. იაზვილი.**  
(ჩვენი კორ.)

**„კომკავშირის“ რ. იხაბოვანის კლენა-რესიდაცია**

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს საქართველოს „კომკავშირის“ რაისაბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციები. რაგ რაიონებში უკვე ჩატარდა კონფერენციები და არჩეულ იქნენ „კომკავშირის“ რაისაბჭოს თავმჯდომარეები.

ბოლოსში „კომკავშირის“ რაისაბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს გ. უგრუხელიძე, ბოგდანოვკაში — ა. ანტონიკა, გურჯაანში — შ. არუთიანიძე, გარდაბანში — ო. მიქელაშვილი, დანისში — ა. ორუკიანი, ვანში — ი. სანადირაძე, ლავილში — რ. ნოზაძე, მაიაკოვსკი — ს. ვარუგია, მარჩხეთში — დ. ბაირაძე, სამტრედიასი — გ. ვაშაიძე, სახჩხეთში — თ. ლაშვილი, სელაში — ბ. მოსტოვილი, ტიბულში — ზ. ახვლედიანი, ყვარელში — ა. ჯანიკაშვილი, ჩხორწყლში — ბ. პაპასკირი, ცაგერში — გ. შუბლიანი, წითელ წყაროში — ბ. პატატიანი, წულციში — ე. კაკაულიძე, წყალტუბოში — ვ. კობახიძე, ხაშურში — ს. ლომიძე, ხობში — გ. თორთოლიანი, ქობულეთში — ი. სოფერიანი, შუაქვში — ბ. დავითაძე, ქედამი — ი. ბარძინაძე, ხეღვაჩაურში — ვ. ქყონია, ხულოში — გ. ზოიძე, ჭიხვილი — შ. კოტლოვი, ზნაურში — ს. გობუზოვი, ცხინვალში — ა. ჯატივი, ლენინგორში — შ. მღებრივი.



# ნაკრები ემზადება



**ფეხშიშვალამ და კაბაში გამოწყობილია...**

მძლეოსნობის სპეციალისტებს 14 წლის მორბენალი გოგონა საბინა კებიკი კენის ახალ ვარსკვლავად მიიჩნიათ, ამ ქვეყნის ერთ-ერთი პატარა სოფლის სკოლის მოსწავლემ სასწავლო წლის დამთავრებისას მიმდინარე შეიქმნა

კერიხში ფეხშიშვალამ და კაბაში გამოწყობილია მიაღწია დიდ წარმატებას: 800 მეტრი გაიარა 2.16,8 წუთში, ხოლო 1500 მეტრი — 4.40,8 წუთში. როდესაც კენის მძლეოსანთა ასოციაციის მდივანმა ფეხსალ შერმანმა ეს ამბავი შეიტყო, უმალვე გაუგზავნა საბინას მისიური და ქაცვიანი ფეხსაცმელები.

— ხელბურთულ ვაჭთა წლებადგელო მსოფლიო ჩემპიონატის (შეჯიბრება გაიმართება გერ-ში 28 თებერვლიდან 10 მარტამდე) ერთ-ერთი ფინალისტი საბჭოთა კავშირის გუნდი იქნება, — განაცხადა რუმინეთის ნაკრების მწვრთნელმა ნიკოლაე ნედუმბა. მეორე ცნობილი სპეციალისტმა — შევეცის ნაკრების მწვრთნელმა როლანდ მატსონმა საბჭოთა გუნდს მესამე ადგილი მიაკუთვნა. თორვე პროგნოზი ბელგრადის გაზეთ „სპორტის“ ფურცლებზე გამოთქვა შარშან, 8 ივლისს, ამ ქალაქში დიდი საერთაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ.

რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში ხელბურთის სარბიელზე, რა არის ახალი საბჭოთა გუნდში? ბელგრადის ტურნირის შემდეგ ვერობის ქვეყნების უძლიერესმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს სამ ტრადიციულ ტურნირში: „ბალტიის თასის“ (გერ), „კარპატის თასის“ (რუმინეთი) და გაზეთ „ნარია ვისტოკას“ ინიცია (თბილისი) გათამაშებებში. „ბალტიის თასის“ გათამაშებებზე გამგზავრებისას ნაკრებმა ამოცანად დაიასა გამარჯვება და მართლაც მრწყინვალედ ჩაატარა ტურნირი. რუმინეთში საბჭოთა ხელბურთელებს სულ სხვა ამოცანა ჰქონდათ დასახული. ამ შედეგებისთვის თავს დიდად არ იწყნებდნენ, მთავარი მიზანი იყო შემოქმედება როგორც გამოცდილი, ისე ახალგაზრდა ხელბურთელების, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო სეზონის საერთაშორისო ტურნირებსა და შესვენებებში ნაკლებად მონაწილეობდნენ. საბოლოოდ საბჭოთა ნაკრებმა III ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონატის — ტურნირის მასპინძლებისა და ოლიმპიადის ჩემპიონების — ბუგოსლავიელების შემდეგ. ნაკრების უფროსი მწვრთნელის ანატოლი ვეტუშენოს აზრით, პოტენციურ შესაძლებლობათა „დამალვის“ ამგვარი ტაქტიკა გამართლებულია. მაგრამ ჩვენ ეს სწორედ არ მიგვაჩნია. ასეთ შემთხვევებში, გუნდის სიმტკიცე ქვეითდება, ხელბურთელები სტაბილურად ვეღარ თამაშობენ, ეს კი, ჩემი აზრით, საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთი ძირითადი ნაკლია. საკმარისია გავხსენოთ ოლიმპიადის სარბიელზე საბჭოთა ნაკრების გამოსვლის მაგალითი.

მიუნხენში საბჭოთა გუნდი თავკამოლებით და წარმატებით იბრძოდა პოლონეთის, გერ-ისა და ფრ-ის ნაკრებ კოლექტივებთან. სამაგიეროდ, უფრო სუსტ მეტოქეებთან მან წააგო. ტყვილად როდი აკრიტიკებდნენ ჩვენებს არასტაბილური თამაშის გამო, მორალური და ფიზიკური ძალების მარჯის შევსება შესაძლებელია მსოფლიო სხვადასხვა დონის მატჩებში მთელი ძალით თამაშის გზით. ჩვენს გუნდს რომ ასეთი თამაში ძალუქს, ეს გვიჩვენა თბილისის ტურნირმა, პირველი ადგილი (მსოფლიო მოგებები) და გამარჯვება იუგოსლავიის ნაკრებთან (22:16. რუმინეთში ამ გუნდთან წააგეთ — 20:25), რომელიც გამოდიოდა ძლიერი, თითქმის ოლიმპიური შემადგენლობით, შესაძლებელია მსოფლიო მთელი ძალების მოკრები.

ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი მთავარი ნაკლი განვლდათ კონტრმეტოქეების დროს სუსტი თამაში, არასაკმარისი ტემპი ბურთის გათამაშების დროს. ყოველივე ეს იწვევდა წინა და უკანა ხაზებს შორის კავშირის გაწყვეტას, ირდევდა ერთიერთმეორედება თვით საიერიშო განლაგებაში.

ხელბურთის საკავშირო ფედერაციამ და სპორტკომიტეტის ხელბურთის განყოფილებამ მიმართეს გაბედულ ექსპერიმენტებს: იერიშის დრო განსაზღვრეს 45 წამით (ისევე როგორც კალათბურთში, ოლინდ იქ, როგორც იცით, სამისოდ 30 წამია გამოყოფილი). ჩვენში უკვე მეორე საკავშირო ჩემპიონატი ტარდება ახალი წესებით. როგორც ყოველ სახალეს, ამ წესებსაც ჰყავს თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები. მოწინააღმდეგეთა ძირითადი აზრი ისაა, რომ საერთაშორისო სარბიელზე ძალაშია ძველი წესები და ჩვენს მეტოქეებს შეუძლიათ ბურთი არ დათმონ რამდენ ხანსაც უნდათ, მაგრამ, სინამდვილეში ასე როდია, მსაჯები უსუსტად მოქმედებენ: გუნდს, რომელიც იერიშის დროს პასიურობს, ბურთს არაბრუნებენ. სხვათა შორის შესულდგა შემოიღეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში: შეტევისთვის იქ დადგინდა დრო 1 წუთამდე.

„45 წამის წესმა“ სწრაფად მოგვცა ნაკლი. საბჭოთა საკლუბო გუნდს (მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივმა) პირველად მოიპოვა ვერობის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. ამ კლუბის მწვრთნელი სამართლიანად ფიქრობს, რომ წინამდებელი ამ „სამინაო წესებზე“ განაპირობა.

„ბალტიის თასის“ გათამაშების დროს სპეციალისტები გააოცა საბჭოთა ნაკრების სწრაფმა კონტრიერიმებმა, რომელთა შედეგდაც მეტოქეთა კარში ნატყურენი ბურთების 40 პროცენტი გოლით დამთავრდა. ესეც — „45 წამის წესის“ შედეგი იყო.

და მოლოს, უფრო საინტერესო განხილვა შეიძლება ჩემპიონატის მატჩები. წინათ საქმე იქამდე მიდიოდა, რომ დაწინაურებული გუნდი აღარ უტყვევდა მეტოქეს და ამ ვითარებაში ბურთის 8-10 წუთს არ თმობდა (1). ამის გამო თამაში უსიცოცხლო და მოსწყენი იყო, რაც მთავარია, ეს აფერხებდა ხელბურთის განვითარებას. საბჭოთა ხელბურთის ლიდერები — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი და ცსკა შინაარსისან და თამაშობენ შინაც და ევროპის ქვეყნების თასის გათამაშების მატჩებშიც.

თუ ცსკა ის გუნდია, რომელსაც ამჟამად გამოკვეთილი ლიდერი არა ჰყავს, საავიაციო ინსტიტუტის გუნდში ასეთი მთამაშე თრია: იური კლიმოვი და ვლადიმერ მაქსიმოვი (ჩვენში მსოფლიო ამ ორ მოქმედ ხელბურთელს აქვს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება). სწორედ ეს ორნი წარმართავენ ნაკრების თამაშს. კლიმოვს, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მატჩში ცსკა-თან სერიოზულად დამავდა, დიდხანს არ უთამაშია. ასლა იგი გამოჯანმრთელდა და „ნარია ვისტოკას“ პირის გათამაშებაში ცუდად არ გამოსულა. ხელბურთში შესამჩნევად გაიზარდა

გუნდის ლიდერის როლი. ხელბურთის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი ვლად კრავიცი (გერ) შენიშნავს: „ვლადიმერ მაქსიმოვს თამაშში გარდატეხის შეტანა მამინაც კი შეუძლია, როცა ამას არ ელო“. მაქსიმოვს მართლაც ხშირად გააქვს გოლი, როგორც თავის კლუბში, ისე ნაკრებში თამაშის დროს. იგი უნარინად ხელმძღვანელობს პარტიიორებს, უკვანს ძირითადი პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება. მაგრამ მართო ლიდერის იმედით ფონს ვერ გახვალ, ვთქვათ ლიდერი დამავდა. მაშინ?..

სამედნიეროდ, ჩვენს დღევანდელ ნაკრებში შეგვრებილი არიან ისეთი მოთამაშენი, რომელთაცანაც თითქმის ყველას შეუძლია თანაგუნდელები აიყვლიოს. ესენი არიან: ივანე უსატი, ვასილ ილინი, ვალენტინ კულიოვი და წარმოიდგინეთ... მეკარე მისილ იმენკო. ამ უკანასკნელმა მრწყინვალედ ჩაატარა ყველა ტურნირის მატჩები. „ბალტიის თასის“ გათამაშებაში ბეგერი გოლი სწორედ მისი უსუსტი გადამცემის შედეგად გავიდა. იმენკო თბილისის ტურნირის საუკეთესო მეკარედ აღიარეს.

მსოფლიო ჩემპიონატისთვის საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა პრაქტიკულად უკვე დადგინდა. მწვრთნელმა ვეტუშენომ განაცხადა, რომ ცვლილებები თუ იქნება, იქნება ძალიან უმნიშვნელო. ნაკრების ბირთვს წარმოადგენენ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტები, ესე იგი ნაკრების საბაზო გუნდის წევრები: ვალენტინ სირიოვი, ვასილ ილინი, ალბერტ ფეანუოვი, ალექსანდრე პანოვი, ვლადიმერ კრავიცი, ვლადიმერ მაქსიმოვი, იური კლიმოვი, ვიქტორ მახინი. ცსკა-დან ნაკრების მისურებთ ემსადგებიან ივანე უსატი და ვალენტინ კულიოვი, „სპორტოვის“ შეტალურგიული ინსტიტუტიდან — მისილ იმენკო, ალექსანდრე რეზანოვი, იური ჩერსინი და იური ლავტინი, „სპორტოვის“ „ალუმინსტრიიდან“ — ვიქტორ პლანტინი, კიევის არმიელთა გუნდიდან — ახალგაზრდა მეკარე სერგეი კონრევინი.

სპეციალისტები, რომლებიც ესწრებოდნენ რუმინეთის ქალაქ ტოლუში გამართულ საერთაშორისო ტურნირს, ფიქრობენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატში შედეგებისთვის ბრძოლა შეუძლია ასპარეზობის სუთივე მონაწილეს — რუმინეთის, იუგოსლავიის, სსრ კავშირის, გერ-ისა და დანიის ნაკრებ კოლექტივებს. თუმცა, ყოველივე ეს პროგნოზია.

საბჭოთა ნაკრები, რომლისთვისაც ჯერჯერობით ყველაზე დიდი წარმატება მსოფლიო ჩემპიონატებში 1967 წელს დაკავებული IV ადგილია, ბევრთად და გულმოდგინედ ემსადგება. ა. გორბუნოვი.



## საიუბილეო გარგანი

50 წლის წინათ სარინტრებმა პეტ ბერიმ, ამაჟამდ უკვე 78 წლის პენსიონერმა, გაიმარჯვა იმ დროისთვის მეტად ცნობილ შეჯიბრებაში, რომელიც პონტიარბში (სამხრეთ უელსი) ჩატარდა. 100 იარდი პეტიმ 11,8 წამში გაიარა და პრიზად 100 გირვანქა სტიქლინიგი მიიღო.

ის ასპარეზობა, რა თქმა უნდა, ისტორიას ჩააბარდა, მაგრამ პეტ ბერიმ გადაწყვიტა საიუბილეო წელს მოეწყო პირადი შეჯიბრება იმავე ტრასაზე (იხ. სურათი) და იმავე დღეს, რა დღესაც რა მანძილზეც ნახევარი საუკუნის წინათ გამოვიდა... პეტიმ ამ მიზნით დათმო ლუდი, მიატოვა თამბაქო და მთელი მონდომებით ვარჯიშობდა — 4 თვის განმავლობაში ყოველდღე დარბოდა კარდიფის ქუჩებში, სადაც ამაჟამდ ცხოვრობს.

**პრალაში მოწინას...**

მთუნენის ოლიმპიადის ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი 400 მეტრზე წინაღობებით რბენაში ჯონ აკიიბუა ისევე ჩადგა ჩინებულ ფორმაში. მელსინქში ჩატარებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მან იოლად დამარცხა თავისი დიდი მეტოქე მთუნენის ოლიმპიური თამაშებიდან — ამერიკელი მანი და შესანიშნავი შედეგი მოიპოვა — 49,8 წამი. აკიიბუა ჩემოსლოვაკიასაც ესტუმრა. პრალაში ყოფინას თავისუფალ დროს იგი ჩემოსლოვაკიის დედაქალაქის დირსუნენინაობებისა და ისტორიული ძეგლების გადღებას ანდომებდა.

სურათზე: აკიიბუა პრალაში.



**2024**  
კალენდარი  
1974

**პრეზენტაცია**  
კიდეზ ონი გარგი

**საქართველო-74**

● **ბალინი**, 15 იანვარი. მოსკოველი მკათეკლასელი მოსწავლის ა. ახარაშვილს წარმატებით დამთავრდა მოქალაქე გოგონათა საკავშირო ჩემპიონატი. გამარჯვებულმა 9 შესაძლებლიდან 8 ქულა დააკროვა. II ადგილი დაიკავა ქიტომირელმა ოსტატობის კანდიდატმა ნ. გასიუნასმა — 7 ქულა, III — ასევე უქარიელმა ტ. ვერსინინამ — 6,5. ჰაბუკებში პირველი იყო 15 წლის კიეველი ოსტატობის კანდიდატი ლ. ზაიდი — 7,5 ქულა.

საბჭოთა დიდოსტატები ტვირან პეტროსიანი და ვიქტორ კორჩინო. მსოფლიო პირველობაზე პრეტენდენტთა მეთხედფინალური მატჩების პირველ მატჩებს თამაშობენ თეორებით შესაბამისად ლაიოშ პორტოშთან (ფუნგრეთი) და ენრიკე-კოსტა მეინგთან (ბრაზილია). პირველი მატჩი დაიწყება 18 იანვარს პალმა-დე შალიორაში (ესპანეთი), ხოლო მეორე — 18 იანვარს აუგუსტში (ქორჯიან შტატი, აშშ).

წილისურა პალმაში ჩაატარა მატჩის არბიტრმა არმინ ხეინცემ (გერ). საუბიო გახსნა და წილისურას აუგუსტში ასამდე ჰადრაკის ადგილობრივი მოყვარული ესწრებოდა.

**საქსი**  
კომპილქოპ

რედაქტორის მოადგილე  
**ზ. ჯაზარიაძე**

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52. მასობრივ-ფიზიკულურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჰადრაკის განყოფილება — 93-97-51, წილისურის განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამოშვების — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.